№ 57 მარტი 15, პარასკევი 1891 მარტი 15, პარასკევი № 57

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. გადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1891

ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პროგრამა გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში

პარასკევს, 15 მარტს,

დანიშნულია მეხუთე წარმოდგენა, რომელშიაც ქ-ნი ქუდიკი აასრულებს მის მიერ შექმნილს, შესანიშნავს როლს

ნინიში

ოპერეტი სამს მოქმედებად, თხზ. ჰენნეკენისა და მილოსი.

ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ტყუილია ის ხმა ვითომ ქ-ნი ქუდიკი ტფილისის კრუჟოკში ითამაშებსო.

დასაწყისი 8 საათზედ

ტფილისის საბრეშუმო სადგურის სელულიარული

აბრეშუმის თესლი

მისხალი 60 კაპ. და ხელოვნური ფიჩხა (სარაჯი), მომზადებული ნ. წერეთლისაგან, გირ. 70 კაპ.

იყიდება ქუთაისში და ხონში, ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

(5—1)

ტფილისი, 14 მარტი

თავ. ბისმარკი რომ გადადგა სამსახურიდამ და მის მაგიერობა დაიჭირა გენერალმა კაპრივიმ, სულ სხვა სიომ დაჰბერა გერმანიის შინაურ და საგარეო პოლიტიკას. აღარ გაისმოდა ბერლინიდგან მუქარა და ბუზღუნი, მუშტს აღარავის უღერებდნენ, გაზვიადებულ ამაყობას და უზრდელობას ადგილი აღარა ჰქონდა სადიპლომატო მიწერ-მოწერაში. უცხო ქვეყნებში დამშვიდნენ, შიშით აღარ უყურებდნენ ბერლინს. ყველას იმედი ჰქონდა, რომ შარებს აღარ მოგვიდებენ და საგარეო პოლიტიკა გაძლიერებულის იმპერიისა ცხადი და მარტივი; რაც ჰსურთ გულახდილად აღიარებენ და გაიძვერაობის გზას აღარ დაადგებიანო.

ასეთი რწმენა და მიხედულობა გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ მაშინ უფრო გამტკიცდა, როცა იმპერატორმა გრაფი ვალდერზეეც მოიშორა თავიდან. ვალდერზე ცნობილი იყო, როგორც მომხრე ომისა და მუქარიანის პოლიტიკისა. მისი ადგილი დაიჭირა სრულიად უცნობმა გენერალმა შლიფენმა, რომელსაც პოლიტიკისა სუნიც არ მისდენია. შინაურის საქმეების კეთილად მოსაწყობად იმპერატორი ირჩევდა იმისთანა კაცებს, როგორც მიკელი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს სოციალურ რეფორმებს და რომელმაც კიდეც შეიმუშავა პროექტი ხარჯის გადახდისა შემოსავლის დაგვარად.

თვითონ ახალგაზდა იმპერატორს პირზედ სულ მშვიდობიანობა ეკერა. ამ აზრის ასასრულებლად დაიწყო დაუსრულებელი მოგზაურობა: ხან ერთს გვირგვინოსანს ეწვეოდა, ხან მეორეს; ყველგან იმას ლაპარაკობდა და ჰქადაგებდა, რომ შინაურ საქმეებს უფრო მომეტებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული, ვიდრე საგარეოსაო. ასე გასინჯეთ ვილჰელმმა საფრანგეთშიც-კი მოინდომა წასვლა და პირადად მოლაპარაკება იქაურ პოლიტიკის მეთაურებთან ამავე საგანზე, მხოლოდ უცდიდა მარჯვე დროს.

ამისათვის ვილჰელმმა ნელნელა შეაჩვია ფრანგები იმ აზრს, რომ გერ- [illegible] საფრანგეთთან, მტრობა გულიდამ ამოირეცხაო. ვილჰელმი არ ერიდებოდა საქვეყნოდ ლაპარაკს, რომ ორის განვითარებულ და კულტურულ ერის გადაკიდება დამღუპველია საქვეყნო პროგრესისათვისაო. საცა-კი შემთხვევა ნებას აძლევდა, ვილჰელმი ამ აზრს იმეორებდა, ფრანგებს ეალერსებოდა, საფრანგეთის ელჩს ჰერბერტს ხშირად უმასპინძლდებოდა და გულ-წრფელად ელაპარაკებოდა. საფრანგეთის დელეგატებს მუშების კონფერენციაზე და მკურნალთა კონგრესზედ ისეთი თავაზიანობითა და ზრდილობით ექცეოდა, რომ ზრდილობიანი და გრძნობიარე ფრანგები სულ მთლად მოხიბლა. მეისონიეს სიკვდილის გამო იმპერატორმა სამძიმრის წერილი გაუგზავნა ხელოვნების აკადემიას და ამანაც მადლობა შემოუთვალა იმპერატორს სამძიმრისთვის.

ერთის სიტყვით ამ ორის წლის განმავლობაში ისეთი ურთიერთობა ჩამოვარდა ამ ორს დაუძინებელ მტრებში, რომ ბევრს იმედი მოეცა, თუ საქმემ ასე გასტანა, შეიძლება სრულიადაც მერიგდნენ გერმანია და საფრანგეთი და სამუდამოდ მოისპოს მიზეზი იმ აუტანელის სამხედრო მდგომარეობისა, რომელსაც ეწოდება მილიტარიზმიო. დაახლოვებისა და მორიგების გზა ნელ-ნელა სუფთავდებოდა, სხვა-და-სხვა ინციდენტებს ადგილი აღარა ჰქონდა და იმასაც-კი ამბობდნენ ხმა მაღლა, რომ შეიძლება მალე იმპერატორმა ვილჰელმმა პარიჟი ინახულოსო და მაშინ ხომ სრული მეგობრობა ჩამოვარდება გერმანიასა და საფრანგეთს შორისაო.

რასაკვირველია, სასურველი ბოლო ასეთ ცდას და მეცადინეობას მაშინ ექმნებოდა, თუ გერმანიის პოლიტიკის მეთაურნი გულ-წრფელად მოიქცეოდნენ და იმათს სურვილს სხვა განზრახვა არა ექნებოდა-რა მეგობრობის გარდა. ამ უკანასკნელ დროს მომხდარი ამბები-კი სულ სხვას გვიმტკიცებს. გერმანიის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად არა სდებია მტკიცედ შეგნებული და ცნობაში მოყვანილი დედა-აზრი, აქ პირველობს კერძო კაცის სურვილი მისი გულის თქმა და ვნება. რა გზასაც ჯინი და ურჩობა უჩვენებს, პოლიტიკაც იმას მისდევს. ყველასათვის ცხადია, რომ ახალგაზდა იმპერატორი მეტად გრძნობიარე და თავდაუკავებელია, ხშირად გრძნობა ვერ შეუკავებია და თავის სურვილს ასდევს. ტყუილად არ ამბობდნენ ბისმარკის მომხრენი, რომ ასეთი მეთაური პოლიტიკისა მალე ფათერაკს შეხვდება და შეიძლება ქვეყანასაც დიდი ზარალი მიაყენოსო. გაჯავრება და გაბრაზება კერძო ცხოვრებაშიც ძნელი ასატანია და ქვეყნის საქმეში ხომ მეტად მავნებელი და დამღუპველია.

ვილჰელმის დედის მოგზაურობამ პარიჟში აშკარად გამოაქვეყნა ასეთი თვისება იმპერატორისა და ლამის ბოლო მოუღოს ყველა იმას, რასაც ეტანებოდა ამ ორის წლის განმავლობაში, მაგრამ ამაზე საუბარი შემდეგისათვის გადავდოთ.

ა. ფურცელი

ახალი ამბავი

⁂ შეიტყეს თუ არა, პურის ნიხრი დამტკიცდაო, ცუდა არ იყოს,

ფელეტონი

რამე-რუმე და სხვათა შორის

(წერილი მეორე)

ძმაო მიხეილ!

ერთ-ერთი დიდი მოვალეობა ყოველის საზოგადოებისა არის სასარგებლო და კარგ შინაარსის წიგნების გავრცელება ხალხში, წერა-კითხვის სურვილის გაძლიერება ქვეყანაში და სხვა-და-სხვა საჭირო ცნობათა და ცოდნათა წყურვილის დაკმაყოფილება. ამ ნატვრის მისაღწევად-კი საჭირო ხალხისათვის მოსაწვდომ საჯარო ლექციების კითხვა. წასაკითხი ადვილად გასაგები უნდა იყოს, საცა შესაძლოა დასურათებულიც და სხვა-და სხვა ხერხით განმარტებული. ასეთს საკითხავს ბევრგან ჰკითხულობენ რუსეთში მდაბიო ხალხისათვის. ამ ბოლოს დროს ხომ ტფილისშიაც შემოიღეს, ხოლო მანდ ჯერ-ჯერობით მარტო რუსულად სწარმოებს ეს საქმე. რუსული-კი მკვიდრთა უმეტესს ნაწილს არ ესმის. ამიტომ სასურველია, რომ ლექციების კითხვა, რუსულს გარდა, ქართულადაც იმართებოდეს. ლექციებს გარდა საჭიროა აგრეთვე სასოფლო წიგნთ-საცავთა რიცხვის გამრავლება, რომ გლეხ-კაცობას შეეძლოს ადვილად წიგნების მოპოვება და წაკითხვა.

სკოლას პირდაპირი კავშირი აქვს წიგნთ-საცავთან: რამდენადაც მატულობს რიცხვი წერა-კითხვის მცოდნეთა, იმდენად უფრო საჭიროა წიგნი, რადგანაც სკოლაში ერთხელ მოხვეჭილი სურვილი კითხვისა მთელ სიცოცხლეში რჩება კაცს და ბოლოს მოთხოვნილებადაც გადაიქცევა ხოლმე, თუ, რასაკვირველია, წიგნის კითხვის საშუალებას მოკლებული არ იქმნება. ჩვენში აქამომდე არამც თუ არსად სოფლებში არ არსებობდა წიგნთ-საცავები, ზოგიერთი ქალაქიც-კი მოკლებული იყო და მოკლებულია დღესაც წიგნთ-საცავებს. ამ უკანასკნელს ხანს-კი, ჩვენდა სასიხარულოდ, სასოფლო წიგნთ-საცავები აქა იქ არსდება.

მისთვის რომ წიგნთ-საცავი თავის დანიშნულობას ასრულებდეს და აკმაყოფილებდეს თავის მკითხველებს, საჭიროა იმ გვარი წიგნები იყოს მოპოვებული, რომელიც შეესაბამება, როგორც მკითხველების გონება-განვითარებას და ჰასაკს, აგრეთვე პრაქტიკულ ცხოვრების მოთხოვნილებასაც. იმ სოფლებში, სადაც რუსულ ენის მცოდნენიც მოიპოვებიან, წიგნთ-საცავმა რუსული წიგნებიც უნდა იქონიოს. ამას გარდა, სასოფლო წიგნთ-საცავი მარტო წიგნებს არ უნდა სჯერდებოდეს, უნდა იბარებდეს უეჭველად გაზეთებს და ჟურნალებს. თუმცა ამ ხანად ჩვენ იმისთანა ჟურნალ-გაზეთები არ მოგვეპოვება, რომელიც, როგორც ფასით, აგრეთვე შინაარსით შესაფერი იყოს სასოფლო წიგნთ-საცავის მკითხველებისათვის, მაგრამ, ვიდრე ამ ნაკლს ავიცილებდეთ, მანამდისინ, რაც გვაქვს, ის მაინც არ უნდა მოვაკლოთ ჩვენს სოფლებს.

აქ არ შემიძლია არა ვსთქვა, რომ აქამომდე, მეტადრე ჩვენში, ძლიერ ცოტა გაკეთებულა და ეხლაც არა ვზრუნავთ, როგორც რიგია, მდაბიო ხალხისათვის. თუ-კი რაიმე იმართება, ისევ უფრო ცოტად თუ ბევრად შეძლებულთათვის, სხვა წოდებისათვის, ვიდრე გლეხობისათვის, რომელიც ყველაზედ მეტად-კი საჭიროებს შემწეობას. დიაღ, მიუტევებელია ეს ჩვენი შეცდომა. დასავლეთ ევროპაში კაი ხანია მიხვდნენ ამ შეცდომილებას და იწყეს კიდეც მისი გასწორება, ასე რომ გლეხთათვის ზრუნვამ ზოგგან იმ ხარისხამდე მიაღწია, რომ უმაღლესი სასწავლებლებიც-კი დააარსეს განსაკუთრებით მათთვის. უეჭველია, გეცოდინება, ძმაო, ამბავი შვეციასა და ნორვეგიაში დაარსებულ „საგლეხო უნივერსიტეტებისა“, სადაც დავაჟკაცებულნი გლეხნი სწავლობენ. ჩვენში-კი გლეხ-კაცობის მოზარდ თაობასაც იშვიათად ერგება ხოლმე წილში მადლი სწავლისა. მოდი და ნუ განცვიფრდები, როდესაც გეუბნებიან, რომ მთელს სვანეთში აქამომდე ერთი სასოფლო სკოლაც არ არსებობსო! მიზეზები ჩვენი სკოლების სიმცირისა ბევრია, მხოლოდ აქ დავასახელებ ერთსა: დარწმუნებული ვარ, ჩვენ მხარეშიც რომ შემოღებული იყოს ერობა ისეთი, როგორც რუსეთის გუბერნიებშია, პირველ-დაწყების და სასოფლო სკოლების რიცხვი მცირე ხნის განმავლობაში ერთი ათად იმატებდა. ამას ნათლად ვხედავთ რუსეთში, სადაც ამ ოც-და-ხუთი წლის განმავლობაში ე. ი. ერობის შემოღებიდამ შესანიშნავად გამრავლდა სკოლები და მაშასადამე ხალხის განათლებამაც დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ. რა-კი ლაპარაკი ჩამოგვივარდა სკოლების შესახებ, ბარემ ისიც ვსთქვათ, რა ტიპის სკოლებია ჩვენთვის საჭირო?

არა კმარა მარტო წერა-კითხვის გამავრცელებელი სკოლები; აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის საპროფესიო სკოლებიც, რომელიც ასე შველის სხვა ქვეყნებში ხალხის გამდიდრებას და მრეწველობის წარმატებას. რაც შეეხება იმას, თუ რა გვარი საპროფესიო სკოლები უნდა დაარსდეს, ეს ადვილი გარდასაწყვეტია, რადგანაც ამას გვეუბნება ჩვენის ქვეყნის ყოველი კუთხის პრაქტიკულ ცხოვრების განსაკუთრებული საჭიროებანი. საქართველოში ზოგგან მევენახეობა არის გავრცელებული, ზოგგან უფრო ხვნა თესვას მისდევენ, ზოგგან საქონლის მოშენებას და სხვ. მაშასადამე, სხვა-და-სხვა სპეციალურ ცოდნათა გავრცელება არის საჭირო ადგილობრივ ცხოვრების მოთხოვნილებათა შეთანხმებით. მაგრამ რაკი საქართველო უფრო ხვნა-თესვის ქვეყანაა, რადგანაც ცხოვრება უმეტესად დამოკიდებულია მიწის შემუშავებასა და განკარგებაზე და საზოგადოდ სასოფლო მეურნეობაზე, ამიტომ უწინარეს ყოვლისა საზოგადო სკოლებთან ერთად საჭიროა სამეურნეო სკოლებიც. „სიმდიდრე და ძლიერება ქვეყნისა, —სთქვა ერთმა მეცნიერმა— უწინარეს ყოვლისა და უმეტესად დამოკიდებულია იმა-

იუცხოეს მეპურეებმა, განსაკუთრებით ხაბაზებმა, მაგრამ ყველაზედ უფრო გაცხარებულა ხაბაზების უსტაბაში. ამ უსტაბაშს დაუვლია ხაბაზები და გამოუცხადებია, რომ ნიხრით პურს ნუ გაჰყიდითო, ისევ ძველებურად იყაჭრეთო.

ეს ამბავი ქალაქის გამგეობას აცნობეს. უსტაბაში იხმეს გამგეობაში და გამოუცხადეს, რომ თუ კიდევ ასეთ საქმეს ჩაიდენ, ცუდი ბოლო მოჰყვება, როგორც შენს საქციელს, აგრეთვე იმ ხაბაზებისასაც, რომელნიც გამგეობის განკარგულებას ეურჩებიანო.

⁂ არც ყასბები არიან თურმე კმაყოფილნი: დღე-მუდამ მოდიან გამგეობაში და შესჩივიან, ნიხრი ზარალს გვაძლევსო. მაგრამ გამგეობა მით უფრო ყურს არ აძლევს ამათ საჩივარს, რომ საქონლის ფასი, როგორც შეუტყვიათ, დაწეულა.

⁂ ჩვენი ბაზრები სადაც უნდა გაიარო, სავსეა ამ ჟამად სხვა-და-სხვა ხეხილის ნერგებითა, რომელიც სოფლელებს ჩამოაქვთ ქალაქში გასასყიდათ. ამ ბოლო დროს ვაზის რქაც-კი გაჩნდა ბაზრებში. ურიგო არ იქნება, ყურადღება მიაქციონ ამ ნერგებს, რადგან ადვილად შესაძლებელია ავადმყოფი ნერგიც გამოიტანონ ბაზარში გასასყიდათ და მით მსყიდველს მოულოდნელი სტუმარი ეწვიოს თავის ბაღში. ამ ხუთმეტიოდე წლის წინად ხომ ეგრე მოხდა მაინც: ვიღაც ფრანგი ჩამოვიდა ჩვენს ქალაქში, დაბინავდა სასახლის ქუჩაზე და დაიწყო როგორც თვითონ აცხადებდა, ნერგების გაყიდვა, განსაკუთრებით-კი—ვაზისა. არ გაუვლია რამდენსამე ხანს და ჩვენში „ფილოქსერაც“ აღმოჩნდა, რომელიც თურმე ამ ფრანგის წყალობა ყოფილიყო.

ჩვენის აზრით, უფრო საიმედო იქნებოდა, ბაზარში გასასყიდი ნერგები, განსაკუთრებით ვაზისა, შემოწმებული იყოს მცოდნე კაცისაგან.

⁂ 13 მარტს პირველი კრება ჰქონდა საბჭოს ახალ შენობათა კომისიას. ძველის თავს-მჯდომარის პოლკოვნიკის ფონ-ვაისენჭოფის მაგიერ ერთხმად აირჩიეს ახალი ხმოსანი და წევრი ამ კომისიისა კაპიტანი ბოლგარსკი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი კომისია ახალის თავს-მჯდომარითურთ, გულ-მოდგინედ მოჰკიდებს ხელს თავის საქმეებს.

⁂ ჩვენს ქალაქს, ქალაქის განაპირად აქვს სამოსახლო მამულები, რომელსაც საჯარო გასყიდვით ჰყიდის ქალაქის გამგეობა წვრილ-წვრილ ნაჭრებად იმ აზრით, რომ ვითომ შეუძლო და ხელ-მოკლე ხალხი, უსახლკარობით შეწუხებული, სახლ-კარით მოეწყოსო. ეს განზრახვა კარგია, მაგრამ მამულებს-კი მაინც ისინი ჰყიდულობენ, ვისაც ქვაცა აქვს და კაკალიც. ხოლო შეუძლებელნი აქაც ხელ-ცარიელნი და პირში ჩალა-გამოვლებულნი რჩებიან. შეძლებულნი ჰყიდულობენ მიწებს, აშენებენ ზედ სახლებს და მამა-სისხლად აქირავებენ. მართალია, ზოგიერთმა შეუძლებელმა კაცმაც შეიძინა ასე წვრილ-წვრილ ნაჭრად გაყიდული მიწა და აიშენა თავისთვის ქოხი რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ ამისთანები მხოლოდ თითო-ოროლანი არიან. ზოგიერთმა ყიდვა ადგილისა რომ ვერ მოახერხა, ღამე ქურდულად ჩათხარა მიწა, ალჩუხივით ამოაშენა და დადგა შიგ იმ იმედით, რომ იქნება აქედამ აღარ გამაძევონო.

არ იქნებოდა ურიგო, რომ ქალაქის გამგეობა მიაქცევდეს ამ საქმეს მეტს ყურადღებას, შეჰკრებდეს ქალაქის განაპირად მამულ-ადგილის და დასახლკარების მსურველს შეუძლებელ ხალხს, მიუზომავდეს ყველას იმდენს, რამდენის აღებაც შეუძლიან თავის ქონების მიხედვით და მერე წვრილ-წვრილად გადაახდევინებდეს ადგილ-მამულის ფასს. ხოლო შეძლებულთ, ანუ იმათ, ვისაც ადგილი და სახლი დასასახლებლად-კი არ უნდა, არამედ გამოსარჩენად და სასარგებლოდ,—არ მიაკარებდეს ამ ადგილ-მამულს.

⁂ მოსკოვიდამ გვწერენ დეპეშით იქაური ქართველი სტუდენტები, გამოუცხადეთ გულითადი ჩვენი მწუხარება განსვენებულის მ. ზ-ძის ყიფიანის ნათესავებს, საქართველოს განათლებისთვის მაგისთანა უკეთესის მზრუნველის დაკარგვის გამო.

⁂ ცხინვალიდამ გვწერენ, რომ კვირას, 10 მარტს გადახდილ იქმნა იქ პანაშვიდი განსვენებულ მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანის სულის მოსახსენებლადა. აქაურმა ბლაღოჩინმა მღვ. მ. კ—ძემ მოკლედ აუხსნა და განუმარტა ხალხს, ვინ იყო ჩვენის ქვეყნისათვის მიხეილ ყიფიანი. პანაშვიდს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, მეტადრე გლეხ-კაცობა.

⁂ ხევიდამ გვწერენ: დღეს, 10 მარტს მოვიყარეთ თავი სიონის მღვთის მშობლის ეკკლესიაში და გარდავიხადეთ პანაშვიდი განსვენებულ მ. ზ-ძის ყიფიანის მოსახსენებლად. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო. ბევრნი იყვნენ ქალნიცა და კაცნიც. მღვდელმა ზ. კ—ძემ განუმარტა ხალხს მდაბიურად საქმენი და მოღვაწეობა განსვენებულისა.

⁂ დაბა ოჩემჩირე: ჩვენს დაბაში ორჯელ გაიმართა ქართული წარმოდგენა. ამ ორის წარმოდგენიდამ შემოვიდა 126 მან. 90 კაპ., დაიხარჯა სულ 51 მან. 69 კაპ.; წმინდა შემოსავალი 71 მან. 31 კაპ. ასე იქმნა განაწილებული: 40 მან. აქაურ სკოლას გარდაეცა, 10 წინამძღვრიანთ-კარის სკოლისათვის გადაიდო, დანარჩენი 24 მან. [illegible] შეგირდს.

⁂ გურია: მდინარე სუფსის პირად ერთი პატარა სოფელია გაშენებული, სადაც ორას კომლამდე მკვიდრი ცხოვრობს. თვითეულს კომლს საკუთარი მიწა-წყალი და სახნავ-სათესი აქვს, მაგრამ წარმოიდგინეთ იმათი უბედურება, როცა მთელს სოფელს თავის მამულ-დედულიდამ აყრასა და გადასახლებას უპირებენ. ჯუმათის მონასტერში ერთი ძველი ქაღალდი აღმოჩენილა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ის ადგილი, სადაც ეს სოფელია გაშენებული, ოდესმე გურიის მთავარს მონასტრისათვის შეუწირავთ. ამ ქაღალდის მიხედვით წარსულს წელს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გადასწყვიტა, აიყაროს ეს სოფელი მონასტრის ადგილებიდამ და სამასი მანეთი კიდევ მონასტრის სასარგებლოდ ჯარიმა გადახდესო. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი გლეხ-კაცი ისე ადვილად ვერ გამოეთხოვება ადგილ-მამულს, რის გამოც დიდი აურ-ზაური ატეხილი. ამბობენ, ჩვენც უნდა მოვნახოთ სამართალი, ჩვენც უნდა შევატყობინოთ მთავრობას ჩვენი გაჭირვებაო.

⁂ 13 მარტს, მეტეხის ციხის მახლობლად, მტკვრის პირას იპოვნეს ვიღაც დამრჩვალის კაცის გვამი, რომელიც საანატომიო სახლში გაჰგზავნეს.

⁂ ტფილისში დაარსებულ ღამის გასათევ თავ-შესაფარს შემოსწირეს: დ. ტ. ს. ბარონ ნიკოლაიმ 50 მ., მელიქ-აზარიანცმა 5 მ., წატუროვმა 3 მ., მელიქ-პაშაევმა 9 მ., ნ. ხოსროევმა 3 მ., ნ. ათაბეგოვმა 3 მ. დ. ორბელმა 1 მ., ს. მელიქ-ნუბაროვმა 1 მ., გ. ე. ფრიდონოვმა 3 მ., განჯუმოვმა 1 მ., ფიურერმა 9 მ. 63 კ., კომერჩესკი კლუბმა 75 მან. და იტალიის ბალის პატრონმა 40 მ. 60 კ., სულ წინანდლიანად ამ დაწესებულების სასარგებლოდ მოგროვდა, 1254 მ. 23 კაპ.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. სტეფან-წმინდა (ყაზბეგი). 8 მარტს ვლადიკავკაზიდამ გამოატარეს აქ გარდაცვალებულის მიხეილ ზაალის ძის ყიფიანის გვამი, რომელსაც მოაცილებდნენ სამის სხვა ეტლით ნათესავნი და ნაცნობნი მიცვალებულისა. საათის 12-დამ შეიკრიბნენ ადგილობრივს სტეფან-წმინდის ეკკლესიაში შემოსილის მღვდლით 200-დე ქალი და კაცი მოხევენი და დიდის სასოწარკვეთილებით და მწუხარებით ელოდნენ განსვენებულს და ეკკლესიაში პანაშვიდზედ დასწრებას. ნაშუადღევის საათის ოთხი შესრულდა, როდესაც განსვენებულის ეტლი მოვიდა ყაზბეგის ფოსტის სადგურთან, სადაც 100-დინ მოხუცებული კაცი მიესალმნენ და განსვენებულის ნათესავებს ჩვენებურად მიუსამძიმრეს და განუცხადეს მწუხარება ამ გვარის ქართველის დაკარგვის გამო. შემდეგ ხალხმა სთხოვა, გარდაცვლილის გვამი ეკკლესიაში შეასვენეთ და იქ პანაშვიდს გადავახდევინებთო, მაგრამ რადგანაც გზას ეშურებოდნენ და საღამოს ჟამი ახლოვდებოდა, ამის გამო იძულებულნი შევიქმენით, მღვდლისათვის გვეთხოვნა და ფოსტის სადგურის წინ გადაგვეხდევინებინა პანაშვიდი. პანაშვიდზედ დაესწრნენ, მოხევეებს გარდა, ყაზბეგის ფოსტის და ტელეგრაფის უწყებაში მოსამსახურენიც. პანაშვიდის გათავების შემდეგ აქ მცხოვრებელმა გლეხმა პავლე გ. ღუდუშაურმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: „საქართველოში მრავალი იმისთანა განათლებული და თავ-განწირვით ქართველთათვის საკეთილ-დღეოდ მზრუნველნი და მოღვაწენი იყვნენ და არიან კიდეცაო, რომ განსვენებულს მიხეილ ზ-ძეს ყიფიანს ბევრით სჯობდნენო, მაგრამ კერძოდ ჩვენთვის (მოხევეებისთვის)-კი ამისთანა ქართველი აღარ დაიბადებაო?“ ამ სიტყვებს შემდეგ—თუ არა ვსცდები, განსვენებულის ახლო ნათესავი უნდა იყოს--ერთმა მანდილოსანმა ტირილით წარმოსთქვა: „მიხეილმა სკოლა ვეღარ [illegible]!“ ხალხს თვალები ცრემლით აევსო და მწარედ ტირილი მორთეს. მით უმეტეს გული დაეწვათ, რომ განსვენებული სცდილობდა მოხევეებისთვის სოფ. სტეფან-წმინდაში ამ ზაფხულს სკოლა დაეარსებინა, მხო-

---

ზე, თუ რას იძლევა სკოლაო“. ამ მცნებას ჩვენც ნუ უარვყოფთ და ზურგს ნუ შევაქცევთ.

საზოგადოდ ერის კეთილდღეობისათვის, როგორც ზემოდ ვსთქვი, საჭიროა-მეთქი სკოლები, ჩვენის ცხოვრების ვითარებასთან შეწყობილი. სკოლებს, რასაკვირველია, მასწავლებლები უნდა და ამ უკანსნელთ-კი კარგი განვითარება და ცოდნა. მაგრამ ცოდნასაც კარგი მოხმარება უნდა: შეიძლება ერთი და იგივე ცოდნა კეთილ საქმესაც ემსახურებოდეს და ბოროტ სურვილისაკენაც მიიმართოდეს. ყოველი ცოდნა ორპირი მახვილია, რომლითაც კაცს, როგორც ავად, აგრეთვე საკეთილოდ შეუძლია ისარგებლოს. თუ გვინდა, რომ ცოდნა თავის წმინდა დანიშნულებას ასრულებდეს, საჭიროა, ცოდნა ზნეობასთან დაკავშირებული იყოს. რომ ეს ასეა, რომ პირველი უმეორეოდ უსარგებლოა და, არა თუ უსარგებლო, არამედ მავნებელი, ამის დასამტკიცებლად შორს ნუ წავალთ და ავიღოთ, მაგ., მასწავლებელთა მოღვაწეობა სასოფლო სკოლებში. მასწავლებელს, თუნდ მცირე ცოდნითაც აღჭურვილს, შეუძლია პატარა, მოზარდ ბავშვებს, ჯერ კიდევ ყოველ მსჯელობას მოკლებულთ, იმისთანა აზრები და სწავლა ჩაუნერგოს, რომელიც არავისთვის სასურველი არ უნდა იყოს. მერე, ხომ იცი, ძმაო, რა მტკიცეა ბავშობაში შეძენილი სწავლა: რასაც მაშინ ბავშვები ითვისებენ, სამუდამოდ ენერგებათ გულში. სკოლაში ასე თუ ისე მიმართულ ჭკუა-გონებას, შემდეგ ძალიან ძნელად მოსდრეკს კაცი; რასაც მაშინ ბავშვი შეეჩვევა, რასაც შეიძენს, მტკიცედ შეუსისხლ-ხორცდება, აუცილებელ მოთხოვნილებად გადაექცევა... მაშასადამე მასწავლებელი კეთილის ჩამგონებელის და დამრიგებელის მაგიერ შეიძლება იყოს ბოროტი გენია თავის შეგირდისათვის: ეს დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ ჰსარგებლობს მასწავლებელი თავის ცოდნით.

ავიღოთ თუნდ კიდევ საზოგადო მოღვაწეობა. ერთი ემსახურება საზოგადოებას, რათა მართლა რაიმე სარგებლობა მოუტანოს, თავის ცოდნას და ძალას მხოლოდ საზოგადოების საკეთილ-დღეოდ იყენებს; ის ჭეშმარიტი ინტელიგენტია, სიმართლის მქონებელი, კეთილით აღჭურვილი ყოველ საქმეში. მეორე-კი მხოლოდ იმიტომ მოღვაწეობს, რომ თავის-თავს მოუტანოს სარგებლობა; თავის ცოდნას თავის თავს ამსახურებს. ამ გვარად მოხმარებული ცოდნა, რომელიც არა ერთხელ მთელის ერის დამამხობელია, განა სასურველია? რა საქმესაც ეს „უზნეობო ცოდნა“ დაედება სარჩულად, იქ სიკეთეს კაცი უნდა გამოეთხოვოს: იქ მხოლოდ ბოროტი, მავნე აზრი ტრიალებს. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს მეორე ზნეობრივი კერძოობა ცოდნისა—ან სხვანაირად რომ ვსთქვათ,—რა მნიშვნელობა აქვს ყოველ მოქმედებაში ეგრედ-წოდებულ „მოტივებს“,—ამას ჩვენ ცხადად დავინახავთ შემდეგის შედარებითაც: რაიმე უბრალო დანაშაული ხან-და-ხან დიდ სასჯელს იწვევს და დიდი დანაშაული-კი არა ერთხელ მთლად ანთავისუფლებს კაცს სასჯელისაგან. რატომ არის ეს ასე? პირველ შეხედვით ეს თითქო გაუგებარი ამბავი აიხსნება მხოლოდ მით, რომ ერთს შემთხვევაში კაცი ბოროტის განზრახვით (dolus malus) არის აღჭურვილი, როდესაც დანაშაულს სჩადის; მეორე შემთხვევაში-კი ბოროტი აზრი არ ამოქმედებს კაცს. ასეა ცოდნაშიაც: ცოდნას, ზნეობასთან შეკავშირებულს, საზოგადოება ყოველთვის პატივსა სცემს, მაშინ როდესაც ცოდნას ბოროტებასთან ჩართულსა და ჩაქსოვილს ყოველთვის ჰგმობს, ჰკიცხავს.

მაგრამ რამდენადაც უსარგებლო და მავნებელია ცოდნის უზნეობოდ მოხმარება, იმდენად სამარცხვინო და გასაკიცხია, თუ კაცს ცოდნა აქვს და სრულიად არაფერს არ ახმარებს. მაშინ კაცი ზარმაცი მონაა და მისი ცოდნა—დაფლული ტალანტია, რომელსაც არცა რაიმე კეთილი, არცა ბოროტი არ მოაქვს. „ცუდია—გქონდეს ძალა და მის გამოყენებას არა ცდილობდე; ცუდია—რის ვაი-ვაგლახით ქვეყნად ღონღიალობდე, როდესაც შეგვიძლიან კარგად იცხოვრო; ცუდია—მთელი სიცოცხლე კაცი სიღარიბეში იმყოფებოდეს, როდესაც შეუძლია მდიდარი იყოსო*)“, ამბობს მანტეგაცა. ეს სიტყვები ნათლად ამტკიცებენ, თუ რა უმეცრებაა კაცის მხრით, როდესაც შეუძლია სიკეთე დასთესოს და ზარმაცობს-კი. დიაღ, ცოდნა ძლიერი და შესანიშნავი იარაღია, ოდეს იგი კეთილ საქმეს კეთილად და ალალ-მართლად ემსახურება. მაშინ „ცოდნა ძალა არის“, და ძალა უდიდესი. ეს, ვგონებ, იმისთანა ნათელი და უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომ დიდი დამტკიცება არ ესაჭიროება. საკმარისია, კაცმა ისტორიას გადაავლოს თვალი და ცხადად დაინახავს, რომ ძლიერი ის არის, ვისაც ცოდნა მეტი აქვს, განათლება დიდი შეუძენია და მხნეობა მეტი გამოუჩენია.

მაშ ეხლა ისიც ვიკითხოთ, სადაა სათავე, წყარო ცოდნისა, ამ უძვირფასესისა და უსაჭიროესი განძისა კაცის ცხოვრებაში? ვისგან მომდინარეობს ცოდნა, ვინ სთესავს, ვინ აბნევს ცოდნას ხალხში? ლიტერატურაო,—ადვილად მომიგებს ყველანი. პასუხის მოგება ადვილია, მაგრამ აბა ეხლა ისიც ვიკითხოთ, ძმაო, ვაძლევთ ღირსეულ, დამსახურებულ ყურადღებას აი ამ ლიტერატურას და მასთან მის წარმომადგენელთ, როგორც ცოდნის გამავრცელებელთ, თუ არა და თუ არა, რა მიზეზის გამო. ამ კითხვაზედ ყოველი შეგნებული და სიმართლის მოყვარული საზოგადოების წევრი თავს გაიქნევს იჭვნეულის სახით ნიშნად უარ-ყოფისა...

ეხლანდელს საზოგადოებებში ბევრი უსამართლობა სუფევს საზოგადოდ შრომის და სასყიდელის ერთმანეთობაში. უეჭველია, ამას მომავალში ბოლო მოეღება: მომავალში ცივილიზაცია გააქრობს ყოველ იმას, რაც ეხლა დიდი უსამართლობაა, მაგრამ არის იმისთანა უსამართლობაც, რომელსაც კაცი განცვიფრებაში მოჰყავს. მე ვამბობ გონებით შრომის შესახებ. თუ საზოგადოდ ყოველ სხვა შრომაში იმისთანა უსამართლობაა, რომ სასყიდელი არ უდრის შრომის რაოდენობას ე. ი. შრომა შესაბამ

---

*) იხ. მანტეგაცას: „Счастіе и Трудъ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ ეგზარხოსისაგან ელოდა ნებართვას საეკკლესიო სახლის დათმობის შესახებ.

აი მრავალს სხვა წერილებს გარდა უკანასკნელს ორს წერილში 23-ს თებერვლიდამ და პირველ მარტიდამ ამ სკოლის შესახებ განსვენებული მ. ყიფიანი რასა მწერდა: „თქვენი სასიამოვნო წიგნი ამ დღეებში მივიღე. თუ-კი წიგნების მოსვლამ ეგრე შეახურა ყმაწვილი ხალხი, სკოლის გახსნა ხომ უფრო გასაოცარს საქმეს მოახდენს. გულს ნუ აიცრუებთ, მუყაითობას შენ და ლუდუშაურმა თავი არ დაანებოთ. მაგაზედ სასარგებლო საქმე არა იქნება. მოიცადეთ კიდევ ორი კვირა და, თუ ეგზარხოსისაგან პასუხი არ მოგივიდესთ სახლის თაობაზედ, ერთი არზა კიდევ გაგზავნეთ და თხოვნა გაიმეორეთ. მაინცა და მაინც თქვენ გუნებაში ის უნდა გქონდეთ გამოსახული, რომ აგვისტოში უნდა გაიხსნას სკოლა. მაშასადამე ჯერ ვადა ბევრი გვაქვს, ღვთით, მოვასწრობთ ყოველისფერსა. მე სულ ავადმყოფობ. ვიდრე არ დათბება, შინიდგან გარეთ ვერ გამოვსულვარ, ვებრძვი ავადმყოფობასა და ვნახოთ, რა იქნება.—ყოჩაღად და კარგად იყავით. ლუდუშაური მომიკითხე. რაც გაიგოთ, ან მანდ მოხდეს, შემატყობინეთ.—თქვენი მ. ყიფიანი".

აი მეორე წერილი, სიკვდილის წინა დღეს მოწერილი, მარტის 1 ს:

„წერა-კითხვის საზოგადოების" აგენტს ანდრია მამუკას-ძეს კობაიძეს.

„როგორც თქვენი წიგნი, ისე თავადი ილია ჭავჭავაძის წიგნი, თითქო ერთ ხანად მომივიდა. მამილოცამს, „როგორც თქვენთვის ისე იაგორ ლუდუშაურისთვის აგენტობა, ღმერთსა ვსთხოვ, რომ ძალა და ღონე მოგცესთ მაგისთანა მძიმე და სარგოიანი საქმის შესრულებაში. თუ სახლი მოგვცეს, დათბება და მე თითონ ამოვალ მანდ ერთის დღით სახლის გასასინჯავად, მაშინ ყოველიფერი დაწვრილებით მოვილაპარაკოთ. როგორცა სჩანს თქვენი უკანასკნელის წიგნიდამ, სკოლის საქმე უფრო ყაზიბეგში დაარსდება მკვიდრად, ვიდრე სხვაგან სადმე. ერთის სიტყვით, ღმერთმან შეგისრულოსთ. თქვენი უმორჩილესი მ. ყიფიანი".

ვის არ უნდა შესტკიოდეს გული ამ გვარის მხნე და კეთილის მოღვაწე კაცის დაკარგვის გამო? ანუ ვისლა უნდა მიმართოს ჩვენმა უბედურმა ახალმა თაობამ სწავლა-განათლების გზის მაჩვენებლად. 700 კომლამდე ქართველს „მოხევეს" ერს დღემდე სასწავლებელი არ ჰღირსებია და დღეს, ვინც მოისურვა აქ სკოლა, ისიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ადრე წაგვართვა სიკვდილმა. ღმერთო, განუსვენე სულსა მისსა!

ანდრია კობაიძე

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამას წინად ჩვენს ნარკვევში დაწვრილებით გვქონდა აღნიშნული ის გზა, რა გზითაც წარიმართა ბატონ-ყმობის გაუქმების საქმე და რა მონაწილეობა მიიღო ამ დიდებულს საქმეში განსვენებულმა იმპერატორმა რუსეთისამ ალექსანდრე მე-II. ამ გლეხთა განთავისუფლების საქმის შესახებვე გაზ. „Русскія Вѣдомости"-ში დაბეჭდილია მეორე საყურადღებო ფელეტონიც, წერილი გრ. ჯანშიევისა: „გლეხთა განთავისუფლება და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა". ავტორი ფრიად საინტერესო ცნობებს გვაუწყებს იმის შესახებ, თუ 1861 წ. 5 მარტამდე, როცა ყველიერის უკანასკნელს დღეს ეკკლესიებში საჯაროდ წაკითხულ იქმნა შესანიშნავი უმაღლესი მანიფესტი, რა მოლოდინში იყო თუსეთის ერი, რა დიდის სულის სისწრაფით ელოდდა ამ დიადს წყალობას. ხალხი ალექსანდრე მე-II გამეფებისა და პირველ რესკრიპტების გამოცემის შესახებ დიდად აღშფოთებული იყო, ათასი ხმა დადიოდა და დიდი მითქმა-მოთქმა იყო, რომ ჩქარა გვეღირსება განთავისუფლებაო. გრ. ჯანშიევის სიტყვით, აი რასა სწერდა ორენბურგის გენერალ-გუბერნატორი 1859 წელს:

> ჩვენი ხალხი გულ-ჩახვეულია და ყველაფრის ადვილად დამჯერი. ისეთს უცნაურს ამბავს ვერ წარმოიდგენთ, რომ არ აღელვებს მისის მოსმენით. წარსულს წელს მთელი სოფლები გადაიხვეწნენ თავიანთ სადგომებიდგან იმ შიშით, რომ კოკანდლები უნდა დაგვესხნენ თავსაო, თუმცა კოკანდლები იმ სოფლებიდგან 2,000 ვერსის მოშორებითა სცხოვრობენ. ეხლა ხალხი ჰღელავს იმის გამო, რომ ხმა გავრცელდა... ანტი ქრისტე უნდა მოვიდესო. ჯერ ისევ წარსულს თვეში ხმა დადიოდა, რომ მეფემ ნება დართო ხალხს სამიკიტნოები აიკლოსო და ეს კიდევ დასაწყისია; რაკი ამას მოვრჩებით, შემდეგ მემამულეებსაც მივყოფენ ხელსაო.

აი ამის შესახებვე რას იწერება ქალაქ ტვერის კომიტეტი 1859 წ.

> ამ ჟამად ყმათა მოლოდინი მოუთმენელი გახდა. პირველში ხალხი მონობიდგან განთავისუფლების ჟამის მოახლოვებას წლობითა ანგარიშობდა, მერე თვეობით და ახლა დღეობითაც დაიწყებს ანგარიშს: მაგალითებრ, 1858 წელს ყველგან ხმა დადიოდა, რომ ბატონყმობის გაუქმების ამბავი აღდგომას იქნება გამოცხადებული, ხელმწიფე იმპერატორის სახელ-წოდების დღეს, ახალ-წელიწადსაო.

შინაგან საქმეთა მინისტრი გრაფი ლანსკოი 1859 წ. სწერს:

> დიდი ხანია განთავისუფლების ფიქრი აღელვებს და აღშფოთებს ყმებს. დიდი ხანია მათ შორის ხმა დადის, რომ ხელმწიფეს უნდა ჩვენი განთავისუფლება, მაგრამ თავად-აზნაურობა წინააღმდეგიაო. თქვენის უდიდებულესობის სამეფო ტახტზედ ასვლისათანავე ხალხი ხან ერთს დღესა ჰნიშნავს და ხან მეორეს ბატონყმობის გაუქმებისათვის. ამ ჟამად, მაგალითებრ, ხმა დადის, რომ განთავისუფლების მანიფესტი გამოცხადებულ იქნება მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებისა და სრულ-წლოვანად გახდომის დღესაო.

ხალხის აღელვებამ იქამდე მიაღწია, რომ, როსტოვცევის აზრით, თუ გვინდა არა მოხდეს-რა და დავამშვიდოთ ხალხი, ნამდვილად უნდა განვათავისუფლოთო. აი რასა სწერდა ეს პატივცემული კაცი ხელმწიფეს:

> თუ ოცდა-ორ მილიონ ხალხს, რომელსაც ორი წელიწადი განთავისუფლებისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების იმედი უმღერებდა გულს, ეს იმედი გაუმტყუნდა, სასოება დაეკარგა, უმაღლესის მთავრობის ნდობა და სიყვარულიც გაუქარწყლდება, თავისის იმედის გაცრუებას, რასაკვირველია, მემამულეებს დააბრალებს და მაშინ რუსეთს თავიდგან აცილებული არ ექმნება საფრთხე.

იმის დასამტკიცებლად, ხალხის დამშვიდება და დაწყნარება მხოლოდ განთავისუფლებით შეიძლებაო, საბუთად იმ გარემოებას ჰხმარობდნენ, რომ მეორმოცე წლებში ხშირი იყო გლეხთაგან ბატონების მოკვლის ამბავი. ორის წლის განმავლობაში დასავლეთის ერთს გუბერნიაში თერთმეტი კაცი მოჰკლეს. ხოლო ხმა გაისმა თუ არა, რომ ბატონ-ყმობის გაუქმების დრო მოახლოვებულიაო, ხალხი დაწყნარდა: გლეხთა განთავისუფლების ლაპარაკამდე წელიწადში ორთა შუა რიცხვით ცამეტს ბატონსა ჰკლავდნენ, რესკრიპტის გამოცხადების შემდეგ-კი ერთის კაცის კვლის ამბავიც არ გამოსულა. 19 თებერვალს მოლოდინმა მეტად აალელვა ხალხი 1861 წ. 29 იანვარს სახელმწიფო საბჭოს სხდომა ჰქონდა ბატონ-ყმობის გაუქმების შესახებ და აი ამ სხდომის შესახებ რასა სწერს აკადემიკოსი ნიკიტენკო:

> თავისუფლების ულონო მოწინააღმდეგენი დიდად გაბრაზიანებულნი არიან და არავითარს საშუალებას არ მოერიდებიან, რომ „თავისი გაიტანონ. ესენი ათას გვარ ცრუ ხმას ავრცელებენ ქალაქში, რომ მთავრობა შეაშინონ და გააფრთხილონ. ეხლა, მაგალითებრ, ხმა დაუგდიათ, რომ პუტიატინს განსვენებული ი. ი. როსტოვცევი გამოეცხადაო. გლეხთა განთავისუფლების ლაპარაკმა ხალხი დიდად ააღელვა. ამის მანიფესტს ყველანი 19 რიცხვს მოელოდნენ. შემდეგ გაისმა ხმა, რომ მანიფესტის გამოცხადება დროებით გადადებულიაო. ხალხში იმის ჩოჩქოლიც-კი ჩამოვარდა, რომ გვატყუებენო". გუშინ გენერალ-გუბერნატორმა გაზეთებში გამოაცხადა, თუმცა ხმა გაისმა, ტყუილია ეს ხმა: გლეხთა შესახებ არავითარი მთავრობის განკარგულება არ იქნებაო. ამ ახირებულმა განცხადებამ უფრო აალელვა ხალხი. ჰფრთხილობენ, ვაი თუ საშიში მოხდეს რამეო.

ამასობაში საქმე გათავებული იყო: მონობის ბორკილი დაისხვრა დაუვიწყარს 19 თებერვალს. ამ დღიდგან ორს მთავრობისა და ორს კერძო სტამბაში გაცხარებული მუშაობა იყო: დებულებასა და მანიფესტსა ჰბეჭდავდნენ. ამასთან სასტიკად ნაბრძანები იყო, რომ ადრევე ნურავის ეტყვით, თუ ეს ქაღალდები იბეჭდებაო. თუმცა ამბის გამტანს ციმბირი და გადასახლება ჰქონდა დამუქრებული, მაინც საზოგადოებამ შეიტყო ეს ამბავი ერთის სტამბის მომუშავისაგან. ბოლოს დადგა დიდებული დღე ისტორიისათვის—5 მარტი: ათმა და ოცმა მილიონმა კაცმა თავისუფლად ამოისუნთქა და ყმები, მონები მოქალაქეებად გადაიქცნენ. სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. აი ერთი თანამედროვე კაცი რასა სწერს ამ სიხარულის შესახებ:

> ნაშუადღევის ორი საათი იყო. ცარიცინის მინდორზედ ხალხის სიირ-

---

სასყიდელს მოკლებულია, აქ შრომას ხშირად თითქმის არავითარი ფასი არა აქვს. მოდი და ნუ გაგიკვირდება ამისთანა უსამართლობა?

ნუ თუ შრომა, გარჯა გონებისა უბრალო, უმნიშვნელო საქმეა? ნუ თუ იმდენად ადვილია გონებით მუშაობა, რომ სასყიდლის ღირსი არ არის? ეს საგანი იმდენად საგულისხმიერო და ღირს-საყურადღებოა, რომ მისი გარდაუწყვეტლად დატოვება სწორედ არ მოგვეტევება. ხშირად ვხედავთ სიღატაკეში ჩავარდნილ, ყოველ შემწეობას მოკლებულ მწერალს, როგორც სხვაგან, ისე ჩვენში და ნუ თუ მოვალენი არა ვართ, რომ მას ბედის წყრაში მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ? ნუ თუ იმ მწერალს, რომელიც სულის საზრდოს გვაძლევს, გვაკეთილშობილებს, გვზრდის, მთელ ჩვენ სიცოცხლეს ამშვენიერებს, ან იმ მსწავლულს, რომლის სამეცნიერო გამოკვლევა ჩვენ ცხოვრებას აადვილებს, აუკეთესებს ჩვენს ყოფას, ყოველ ამის მაგიერ საზრდო არ უნდა ვაძლიოთ? ნუ თუ საზოგადოება პირდაპირ ზნეობრივ მოვალე არ არის, რომ უზრუნველ-ჰყოს იგი, რომელიც თავის მეცნიერულ მოღვაწეობის წყალობით სამუშაოს უჩენს ხალხს, ღირსეულ სარჩოს, პურს არსობისას აძლევს? ყოველი გონებით მოღვაწე ხომ დღიურ მუშასავით, თუ მეტად არა, იღვწის, მუშაობს, არა ერთი ჯან-მრთელობას ჰკარგავს მხოლოდ მისთვის, რომ თავის წვლილით რაიმე სარგებლობა მოუტანოს კაცობრიობას, ან თუ კაცობრიობას არა, კაცობრიობის ერთ-ერთს ნაწილს მაინც ე. ი. თავის ქვეყანას, თავის მშობელ ერს.

რასაკვირველია, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვსთქვათ, რომ ლიტერატორთა, მეცნიერთა და სხვათა გონების მუშაკთა და მოღვაწეთა შრომა ვითამ სრულიად არ ჰფასდებოდეს. არა, თავისებურ სასყიდელს საზოგადოებისაგან არც ასეთი მუშაკია მოკლებული, მაგრამ საქმეც ის არის, თუ რაოდენად ჯილდოვდება ეს შრომა?

თუ საზოგადოდ ითქმის, რომ გონების შრომა შესაფერ სასყიდელს მოკლებულია, კერძოდ ეს მეტად შეეხება ჩვეულებრივ, საშუალო გონებით მუშაკთა, რომელთა რიცხვი ყველგან გაცილებით მეტია გამოჩენილ, შესანიშნავ მოღვაწეებთან შედარებით. ეს რიცხვ-მრავალი კრებული შუათანა გონებისა დიდ და შესანიშნავ მოღვაწეებზე ნაკლებს სარგებლობას არ აძლევს ქვეყანას. და აი როდესაც გამოჩენილნი მოღვაწენი თითქმის ყოველთვის საკმაო საზრდოს შოულობენ, შუათანა ნიჭის პატრონნი შიმშილით იხოცებიან.

უეჭველია, მეტყვი, ძმაო, ეს ყველა კარგია, მაგრამ ვისთვის და რისთვის ლაპარაკობ ამდენს, როდესაც ჩვენში ჯერ არც მეცნიერები მოიძებნებიან, არც ის შუათანა ნიჭის სალიტერატურო მოღვაწენი, რომელნიც ვითომ სხვაგან შიმშილით იხოცებიანო.

თუმცა ჩვენი ლიტერატურა ეხლახან აღორძინდა და მეცნიერებას-კი სრულიად მოკლებულნი ვართ და ამიტომ ჩვენში ჯერ ნასახიც არ არის იმ მეცნიერთა, მწერალთა და სხვ., რომელთაც შესამჩნევად წინ მიჰყავთ ცხოვრება, რომელთაც არა მარტო თავის ქვეყნისთვის, არამედ მთელ კაცობრიობისათვის სარგებლობა მოაქვთ და რომელთა შესახებ ჩვენ ბაასი ჩამოგვივარდა ამ წერილში, მაგრამ ეს მაინც არ დამიშლის ყოველივე ზემოდ თქმული ჩვენს ქვეყანასაც შევუფარდო. რამდენია ჩვენს ქვეყანაში იმისთანა, რომელსაც გონებაც და ნიჭიც შესწევს ილვაწოს ჩვენ მწერლობაში და ილვაწოს არა უსარგებლოდ! ხოლო სიღარიბის გამო ბევრი იმათგანი იძულებულია რაიმე სხვა პროფესსიას დაადგეს და მთლად მიატოოს სალიტერატურო ასპარეზი ან თუ მთლად არა, მხოლოდ თავისუფალ დროს, სხვათა შორის, იშრომოს, ამუშაოს გონება. იძულებულია იმიტომ, რომ ჩვენში სალიტერატურო შრომა საზრდოს არ იძლევა. თუ ასე არ მოიქცა ჩვენი ღარიბი ლიტერატორი, შიმშილით მოკვდება ჩვენს სოფლის მასწავლებლებს ჰკიცხავენ, რომ ცოტაოდენი სარგებლობა მაინც შეუძლიათ მოუტანონ ჩვენ მწერლობას, როგორც მაგალითად ხალხის ნაწარმოების შეკრებით ან სხვაფრივ როგორმე და უმეტესი ნაწილი-კი მათი ცუდად ატარებს დროსაო. ეს კიცხვა მთლად უსაფუძვლო თუ არა, მეტისმეტი გადაჭარბებული მაინც არის. აბა ერთი ვსთქვათ, რა გასაკიცხია ის სოფლის მასწავლებელი, რომელიც 200—300 მანეთს იღებს წელიწადში და ამასაც დიდის გაჭირვებით და უმთავრეს საგნად ზრუნვისა გახდომია არსობის პურის მოპოვება!

რა შეუძლია და რა უნდა ქმნას, რა ღონის-ძიება უნდა მიიღოს ჩვენმა საზოგადოებამ მწერალთა ნივთიერ მდგომარეობის განკარგებისათვის?

პირველ ყოვლისა საზოგადოება უნდა სცდილობდეს, რომ ლიტერატორთა დასს მეტი პატივისცემა გაუწიოს თვითონ და ხალხსაც მეტი პატივისცემა ჩააგონოს მისი. საზოგადოებამ უნდა ავრცელოს ხალხში სასარგებლო და ღირს-საყურადღებო ნაწარმოები მწერალთა, პოეტთა და სხვ. რადგანაც ჩვენში განათლება მცირედ არის გავრცელებული, იგი ჯერ კიდევ დაბალ ხარისხზედ სდგას, ამიტომ მოთხოვნილებაც სალიტერატურო თხზულებათა მცირეა. ამისათვის ადვილი გასაგებია, რა დამოკიდებულებაში არის ყოველი მწერალი შეგნებულ საზოგადოებისაგან. დასასრულ საჭიროა მწერალთა უზრუნველ-ყოფისათვის დავაარსოთ ლიტერატორთა დამხმარებელი ფონდი. ჩვენს სალიტერატურო სარბიელზედ მოღვაწეთა ბედის განკარგება მით უფრო საჭიროა, რომ, როგორც ზემოდაც ვსთქვი, ჩვენი მწერლობა ახლად აღორძინებულია მტკიცე, საფუძველს მოკლებული და, მაშასადამე, ეხლა უფრო ჰსაჭიროებს იგი მიშველებას. მწერლობას-კი საფუძველი უფრო ადვილად და ჩქარა მაშინ გაუმაგრდება, როდესაც მისი წარმომადგენელნიც დღეგრძელობენ. ერთის სიტყვით მწერალს, პოეტს, მოაზრეს, და სხვ. მხოლოდ მაშინ ექმნება გაუწყვეტელი კავშირი ხალხთან, მხოლოდ მაშინ მოუტანს სარგებლობას ქვეყანას, როდესაც თვითონაც ღირსეულად დაფასებული, პატივცემული და შიმშილს აცილებული იქმნება. მე ასე ვფიქრობ და შენი არ ვიცი, რას იტყვი.

შენი ძმა გრიგოლ

ქ. მოსკოვი

ნობა იყო გამართული. შორიდგან „ურას“ ხმა მოისმოდა. ხელმწიფე ეტლით მოდიოდა და რამდენიც უახლოვდებოდა, „ურას“ ძახილიც უფრო და უფრო ძლიერდებოდა. დასასრულ, როცა ხელმწიფე სრულიად მოახლოვდა, ბრბო ხალხისა ზვირთსავით აღელდა, ქუდები მაღლა ჰკრეს და ისეთი „ურა“ გაისმა, რომ დედამიწა შეიძრა და შეირყა. ვერავითარი კალამი ვერ აწერს იმ აღტაცებას, რა აღტაცებითაც განთავისუფლებული ხალხი მიეგება თავისს განმთავისუფლებელს მეფეს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სიცოცხლეში ვნახე ხალხის ესეთი აუწერელი სიხარული.

მეორე თანამედროვე, პროფესორი და ცენზორი ა. ვ. ნიკიტენკო თავისს დღიურში სწერს 5 მარტს:

დღევანდელი დღე დიდებული დღეა: გლეხთა განთავისუფლების მანიფესტი ასე შუადღისას მომიტანეს. დიდის სიხარულით წავიკითხე ეს ძვირფასი ქაღალდი, ისეთი ძვირფასი, რომლისთანაც ძნელად თუ რუსეთის ერის ათასის წლის ისტორიაში მოიპოვებოდეს. წავუკითხე იგი ხმა-მაღლა ჩემს ცოლსა და შვილებს სამუშაო ოთახში ალექსანდრე მე-II სურათის წინაშე, ამ დიდებულის იმპერატორისა, რომელსაც ყველანი დიდის თავაზითა და მადლობით შევცქეროდით. ჩემს ათის წლის ვაჟიშვილს ავუხსენი მანიფესტის დედა-აზრი და ვთხოვე, რომ საუკუნოდ დაიმარხე გულში 5 მარტი და სახელი განმთავისუფლებელ მეფის ალექსანდრე მე-II-მეთქი. სახლში ვეღარ გავძელ, ქუჩაში გამოსვლა და ხეტიალი მომინდა. კედლებზედ გაკრული იყო გენერალ-გუბერნატორის განცხადება და ყოველ განცხადებასთან მთელი გროვა იდგა ხალხისა. ერთი ჰკითხულობდა, დანარჩენნი ისმენდნენ. ვისაც შევხვდებოდით, ყველას სახეზედ სიხარულისა და კმაყოფილების ბეჭედი ესვა. ნაცნობთა შორის შევხვდი გალახოვს: „ქრისტე აღსდგა“-მეთქი, ვუთხარი. „ჭეშმარიტად აღსდგაო“, მომაძახა და ორივემ ერთმანეთს გადავეცით ჩვენი სიხარული. შემდეგ რებინდერთან შევიარე. იმან შამპანიის ღვინო მოატანინა და თითო ჭიქა გამოვცალეთ ალექსანდრე მე-II სადღეგრძელოდ.

ასე დიდად იყო ხალხი აღტაცებული და ხალხთან ერთად ის საუკეთესო და ჭეშმარიტად განათლებული ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც სიხარულით მიეგება გაუქმებას ძველის-ძველ და დახავსებულ უსამართლობისას და რუსეთის ცხოვრების ახალ გზაზედ დადგომას. ეს ბატონ-ყმობა უშლიდა ხელს რუსეთის განვითარებას და ამასაც ძირი მოეთხარა და ბოლო მოეღო, დადგა ის ნეტარი დრო, როცა ქართველმა პოეტმა აღტაცებით დაჰმღერა ჩანგს:

მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა;
სიმართლის ხმა ქვეყნად ჰქუხს
დასათრგუნვად მონობისა!..

◆◆

დეპეშა

13 მარტი

პეტერბურგი. საქალაქო დებულების ახალ პროექტის განხილვის დროს საბოლოვოდ შეწყნარებულ იქმნა შემდეგი ცვლილებანი: უარ-ყოფილია, რომ ქალაქის თავმა აასრულოს ორი მოვალეობა, მოვალეობა ამსრულებლისა და განკარგულების მიმცემის ორგანოსი. არჩევნები ხმოსნებისა უნდა მოხდეს ხოლმე რიგობად და უბნებად დაყოფვით. არჩევნების წესიერად წარმოება მთავრობის სასტიკს კონტროლს დაექვემდებარება.

სკოპინის ბანკის საკონკურსო გამგეობა აცხადებს, რომ გავათავეთ ყველა გამოკვლევა ბანკისა და მის მოვალეთა ქონების შესახებაო და აღმოჩნდა: იმას გარდა, რომ ფულის შემტანთ მიეცათ თექვსმეტ-თექვსმეტი კაპიკი თითო მანათის მაგიერ, სულ 2 მილიონამდე მანათი, — არის კიდევ კასაში 15,000 მან.; შემოსავალია კიდევ 200,000 მან. მეტი. ეს ფულიც განაწილდება ბანკის მოვალეთა შორის. 26 მაისს რიაზანში დანიშნულია კრება. სასურველია ამ კრებაზედ ბლომად დაესწრნენ ბანკის მოვალენი ან პირად თითონ, ან მათი რწმუნებულნი, რათა კრებამ საბოლოვოდ გარდასწყვიტოს საქმეები.

ვარშავა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა განაჩენი ოლქის სასამართლოსი სკუბლინსკის ქალის, აგნესა ზდანოვსკისა და პოლკოვსკის შესახებ. კუბაკოვის ქალსა და ემილია ზდანოვსკისას-კი, რომელნიც ოლქის სასამართლომ გაამართლა, გადუწყვიტა ციხე: პირველს წლით, ხოლო მეორეს—4 თვით.

ვენა. ახალი უსიამოვნება ჩამოვარდა ავსტრი-ვენგრიასა და სერბიას შორის საფინანსო პოლიტიკის სფეროში. ეს უსიამოვნება იმის გამო ჩამოვარდა, რომ სერბიის მთავრობამ სკუპშჩინას წარუდგინა ახალი კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ზოგიერთა საქონელზედ, სერბიაში შეტანილზედ, ბაჟს გარდა წესდება აქციზიცა. ავსტრი-ვენგრიის მთავრობა ამბობს, რომ ეგ კანონ-პროექტი ეწინააღმდეგება ჩვენ შორის დადებულს სავაჭრო ხელშეკრულობასაო და რახან ეგრეა, ჩვენც ჩვენის მხრით შესაფერს ღონისძიებას მივიღებთ იმ საქონლის შესახებ, რომელიც სერბიიდამ შემოდის ჩვენშიო.

14 მარტი

პეტერბურგი. ფინლიანდიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ტიმროტი დანიშნულია 27 ქვეითი ჯარის დივიზიის უფროსად.

გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება გზათა მინისტრის სახელობაზე; ამ ბრძანებით ნება ეძლევა რკინის გზას აგებისა ვლადივასტოკიდამ გრაფსკის სადგურამდე; აგრეთვე მიწების შესყიდვისა და დროებით დასაქირავებლად საჭირო განკარგულების გამოცემისა და ამ მიწების პატრონები იმ წესისამებრ მიეცესთ ფული, რა წესიც მთელ იმპერიაში შემოღებულია.

„Нов. Вр.“-ს ცალკე ნომრების გაყიდვის ნება ხელ-ახლად მისცეს.

ჟურნალ „Восходъ“-ს და მასთან ერთად რომ საყოველ-კვირაო გაზეთი „Недельная Хроника“ გამოიცემის—გამოეცხადა მესამე გაფრთხილება და გამოცემა ექვსის თთვით შეაჩერეს. ამასთანავე „Нед. Хрон.“-ას შესახებ როცა შეჩერების ვადა გაუთავდება, ის საშუალება მიიღონ, რომელიც გამოცხადებულია მე-144 მუხლის შენიშვნაში. ესეთი განკარგულება იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ ეს ჟურნალები დაჟინებით და ხშირად ჰბეჭდავენ ცუდ მიმართულების სტატიებს, სხვათა შორის ამას ამტკიცებს აბრამოვიჩის მოთხრობა და მოლოდოვცევისა „Между молотомъ и Наковальней“.

„Journal de St. Pétersbourg“-ი ამართლებს იმ ხმას, რომ საგარეო მინისტრის ამხანაგი ვლანგალი და დირექტორი სააზიო დეპარტამენტისა ზინოვიევი სხვა თანამდებობას მიიღებენო; ვლანგალის ადგილას დანიშნული იქნება სტოკჰოლმის ელჩი შიშკინი, ზინოვიევის ადგილას-კი—საპატიო აპეკუნი იმპერატრიცა მარიას დაწესებულებათა მოსკოვში კაპნისტი.

პეტერბურგის ბირჟა, 12 მარტი.

	მყიდველისა	გამყიდველისა	გარიგებულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	— „	— „	$6\frac{3}{4}$
ტამოჟნის კუპონები . .	— „	— „	135
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— „	1 07	— „
5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი	237	— „	—
—მეორისა	— „	— „	$222\frac{1}{2}$
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი	$212\frac{1}{2}$	— „	$216\frac{1}{4}$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . .	— „	— „	— „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება
მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად
აკაკისა
ფასი 50 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თთვით. . .	10 მ.—კ.	6 თთვით. . .	6 მ.—კ
11 „ . . .	9 „ 50„	5 „ . . .	5 „ 25„
10 „ . . .	8 „ 75„	4 „ . . .	4 „ 70„
9 „ . . .	8 „ —„	3 „ . . .	3 „ 50„
8 „ . . .	7 „ 25„	2 „ . . .	2 „ 50„
7 „ . . .	6 „ 50„	1 „ . . .	1 „ 75„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედაენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი **ექვსი შაური.**

ვინც ერთბაშად **ნაღდს ფულზე** იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა **ხუთ შაურად.**

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება **ორი შაური.** ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს **„დედა ენას“** წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ **რვა კაპეიკი.**

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი **თხუთმეტი შაური.**

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის **ათს** ცალს, წიგნი დაეთმობა **თოთხმეტ შაურად**, ვინც ოცსა—**ცამეტ შაურად** და ვინც ოც-და-ათს—**სამ აბაზად**. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ **სამი შაური.**

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, **გასაგზავნი ხარჯი** თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности.
Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება
„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

„ისტორიული ნარკვევი“

ანუ
ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის
შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ
ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

Тифлисъ, Дов. цен. 14-го Марта 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.